სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

28 ნოემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 207

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის კონკურსის გამოცხადების შესახებ" - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 ოქტომბრის N153 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პრაგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 27 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1690576) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, კონკურსიდან მოიხსნას ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული პროექტები;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 28 ნოემბრის N207 ბრძანებით

2025 წლის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	MR-25-1316	კონკურსის პირობების მე-2 მუხლის პუნქტი 2-ის, მე-5 მუხლის პუნქტი 2-ის ა) ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის პუნქტი 1-ის ე) ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის პუნქტი 1-ის დ) ქვეპუნქტის მიხედვით დაშვებული ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
2	MR-25-564	კონკურსის პირობების მე-2 მუხლის პუნქტი 2-ის მიხედვით დაშვებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
3	MR-25-532	კონკურსის პირობების მე-2 მუხლის პუნქტი 2-ის მიხედვით დაშვებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
4	MR-25-225	კონკურსის პირობების მე-2 მუხლის პუნქტი 2-ის, მე-4 მუხლის პუნქტი 1-ის კ) ქვეუნქტის და მე-4 მუხლის პუნქტი 2-ის მიხედვით დაშვებული ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
5	MR-25-268	კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პუნქტი 1-ის დ) ქვეპუნქტის მიხედვით დაშვებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.